თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7898072

ნომერი: AR11139497

თარიღი : 23.04.2026

გაცემის თარიღი : 30.04.2026

გაცნობის თარიღი : 30.04.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ჯავახეთის ქუჩა, N 152ბ; ქალაქი თბილისი, ჯავახეთის ქუჩა, N 152ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რომეო მოლაშხია პ/ნ 62001043874
- სოხუმი ძერჟინსკის ქ. III კვ. კორ. 6ა ბ. 105

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 21 აპრილის №7889779 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 23 აპრილს №AR11139497 განცხადებით მომართა რომეო მოლაშხიამ და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 21 აპრილის

№7889779 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 21 აპრილის №7889779 ბრძანებით შეთანხმდა №01.19.36.013.070 და №01.19.36.013.006 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პროექტი და გაიცა დემონტაჟის ნებართვა.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2026 წლის 21 აპრილის №7889779 ბრძანებაში არასწორად არის ასახული საპროექტო მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდი. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
დოკუმენტაციის გადმოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2025 წლის 17 დეკემბერს №AR11121957 განცხადებით მოთხოვნილი №01.19.36.013.070 და №01.19.36.013.006 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ნებართვის გაცემა. აღნიშნულ განცხადებაზე, წარმოდგენილი იქნა დემოტაჟის ორგანიზაციის სამშენებლო გენ-გეგმა და დემონტაჟის პროექტი, რომლის მიხედვით საპროექტო მიწის ნაკვეთებს (რომლებზეც მდებარეობს სადემოტაჟო შენობა-ნაგებობები), წარმოადგენდა №01.19.36.013.070 და №01.19.36.013.006, თუმცა, სამსახურის 2026 წლის 21 აპრილის №7889779 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად საკადასტრო კოდები არ დაფიქსირდა. ასევე, აღნიშნული ბრძანების მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი-ს ველში საკადასტრო კოდი: №01.19.36.013.006-ის ნაცვლად არასწორად დაფიქსირდა №01.19.36.013.027.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 21 აპრილის №7889779 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 21 აპრილის №7889779 ბრძანებაში და:
1.1. აღნიშნული ბრძანების მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი-ს ველში საკადასტრო კოდი: №01.19.36.013.027 ნაცვლად დაფიქსირდეს საკადასტრო კოდი: №01.19.36.013.006, ასევე, მისამართად დაფიქსირდეს: ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №152ა, ნაკვეთის დანიშნულებად: არასასოფლო სამეურნეო, ფართობად 62.00 კვ.მ., მესაკუთრედ: შპს "სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი" (404438649).
1.2. აღნიშნული ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. შეთანხმდეს ქ. თბილისში, ჯავახეთის ქუჩა №152ბ-ში (ს/კ: №01.19.36.013.070) და ქ. თბილისში, ჯავახეთის ქუჩა №152ა-ში (ს/კ: №01.19.36.013.006) მდებარე მიწის ნაკვეთებზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პროექტი.“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 21 აპრილის №7889779 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2026 წლის 21 აპრილის №7889779 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.